# ხელშეკრულება №3/126/2019წ

ქ. ქუთაისი 4 სექტემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ "შემსრულებელი" – შპს " ზაისი და კომპანია" მისი დირექტორის ზაირა ფრუიძის სახით მოქმედი მისი წესდებისა და დებულების თანახმად და მეორეს მხრივ "დამკვეთი"– სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლა წარმოდგენილი მისი დირექტორის შორენა კაკაბაძის სახით, "დამკვეთი"-ს მიერ "შემსრულებელი"-სათვის მომართვის საფუძველზე შპს "ზაისი და კომპანია"-ში დარეგისტრირებული №3/126 ინსპექტირების განაცხადის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: CPV-71300000

1.1 "შემსრულებელი" ჩაატარებს "დამკვეთი"-ს სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ ობიექტზე შესრულებული სამუშაოების (ფორმა №2) ინსპექტირების (ექსპერტიზის) სამუშაოებს სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლის პანდუსის მოწყობითი სამუშაოებზე, ინსპექტირების წესების და პროცედურების შესაბამისად.

## მუხლი 2. მხარეთა უფლება მოვალეობანი

2.1 "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას გასწიოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება, „დამკვეთის" მიერ ამ ხელშეკრულების პუნქტი 3.1-ით განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში.

2.2 „შემსრულებელი" სამუშაოებს ატარებს ინსპექტირების წესების და პროცედურების შესაბამისად.

2.3 "დამკვეთი" იღებს თავის თავზე ვალდებულებას, რომ "შემსრულებელი"-ს ინსპექტირებ-ის სპეციალისტთა ჯგუფს შეუქმნას ყველა პირობა ინსპექტირების ჩასატარებლად.

2.4 "შემსრულებელი" ვალდებულია:

2.4.1 ხარისხანად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო მუხლი 1 -ის შესაბამისად

2.4.2 გადასცეს "დამკვეთს" ინსპექტირების ოქმი (ექსპერტიზა) გათვალისწინებულ ვადაში.

2.4.3 აცნობოს "დამკვეთს" სამუშაოს შესასრულებლად საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტური მასალების ჩამონათვალი და სამუშაოს შესრულების პერიოდში დროულად შეატყობინოს დამატებითი დოკუმენტური მასალების წარმოდგენის საჭიროების შესახებ.

2.4.4 აცნობოს "დამკვეთს" წერილობით სამუშაოს შესრულების პერიოდში რაიმე პრობლემის არსებობის ან სავარაუდოდ მისი წარმოშობს შესახებ, რამაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოს შეფერხება ან ობიექტური მიზეზების გამო, საჭირო ხდება სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელება.

2.5 "შემსრულებელი" უფლებამოსილია:

| | |
|---|---|
| შემსრულებელი" | „დამკვეთი" შ. კაკაბაძე |
| ზაირა ფრუიძე | შორენა კაკაბაძე |

2.5.1 მოითხოვოს **"დამკვეთი"**-საგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება.

2.5.2 საინსპექციო სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების დადგენილ ვადაში სრულად წარმოუდგენლობის შემთხვევაში უარი განაცხადოს სამუშაოს შესრულებაზე და დააბრუნოს საქმე შეუსრულებლად დამკვეთისთვის შეტყობინებიდან 3 დღის ვადაში.

2.5.3 შეაჩეროს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, თუ ეს გამოწვეულია **"დამკვეთი"**-ს მიზეზით.

2.6 **"დამკვეთი"** ვალდებულია:

2.6.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2.6.2 ხელი შეუწყოს **"შემსრულებელს"** ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაში.

2.6.3 სრულყოფილი სახით წარმოადგინოს ინსპექტირების სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალები.

2.6.4 დროულად გადაიხადოს შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწი-ნებული საფასური.

2.7 **"დამკვეთი"** უფლებამოსილია მოითხოვოს **"შემსრულებელი"**-საგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

## მუხლი 3. მომსახურების საფასური

3.1 **"შემსრულებლის"**-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური შეადგენს **100 (ასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

3.2 **"განმცხადებელი"** მომსახურების საფასურს იხდის ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების შემდეგ ინსპექტირების ანგარიშის (ექსპერტიზა) გადაცემამდე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი შედარების აქტი **„დამკვეთის"** მიერ **„შემსრულებლისადმი"** ვალის აღიარების შესახებ.

## მუხლი 4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და შეწყვეტა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან. სამუშაოების დასრულების შემდეგ მხარეებს შორის გაფორმდება მიღება - ჩაბარების აქტი.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევაში:

4.2.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, **"დამკვეთის"**-ს წერილობითი მომართვის საფუძველზე;

4.2.2 მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

4.2.3 კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

| | |
|---|---|
| „შემსრულებელი" | „დამკვეთი" შ.კაკაბაძე |
| ზაირა ფრუიძე | შორენა კაკაბაძე |

## მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობები

5.1 მხარეთა პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

5.2 მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტით მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანზე.

5.3 თუ "**დამკვეთი**" უარს განაცხადებს „**შემსრულებლის**" მიერ ჩატარებული სამუშაოს გაგრძელებაზე ან მომზადებული ინსპექტირების ანგარიშის ჩაბარებაზე, იგი არ თავისუფლდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს საფასურის გადახდისაგან.

5.4 თუ "**შემსრულებელი**" თავისი ბრალით უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვადას და ამით „**დამკვეთს**" მიადგება რაიმე სახის მატერიალური ზიანი, იგი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის.

5.5 „**დამკვეთი**" კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს „**შემსრულებელს**" პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0,2% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

5.6 „**შემსრულებელი**" პასუხისმგებელია გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით „**დამკვეთს**" მომსახურების გაწევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,2 % ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

## მუხლი 6. ფორს მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის თუ ის იყო გამოწვეული გადაულახავი გარემოებებით - ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით და სხვ. რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე. ამასთანავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდბულებების შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რის განმავლობაშიაც მოქმედებდნენ ეს გარემოებები.

6.2 თუ ეს გარემოებები 6 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება მოთხოვოს მეორე მხარეს ზარალის ანაზღაურება.

## მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება აკრედიტაციის ცენტრის ნორმატიული აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 ამ ხელკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა წყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

„შემსრულებელი" — „დამკვეთი"

ზაირა ფრუიძე — შორენა კაკაბაძე

## მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას და მას ენიჭება უპირატესი ძალა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ, მანამდე დადებულ ნებისმიერ ზეპირ თუ წერილობითი შეთანხმების მიმართ.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით და ხელი მოეწეროს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

8.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ან მეტი დებულება რაიმე მიზეზით ჩაითვლება ბათილად, ძალადაკარგულად ან უკანონოდ, ეს არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც შესაძლებელია ბათილი დებულების მიზნის მიღწევა.

8.4 ელექტრონული ფოსტით გადაგზავნილი (მიღებული) ნებისმიერი შეტყობინება (წერილი, ინფორმაცია, დოკუმენტი და ა.შ.) ითვლება ოფიციალურად ჩაბარებულად.

8.5 წინამდებარე ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, ერთი ინახება „შემსრულებელთან" ხოლო მეორე ეგზემპლიარი - „დამკვეთთან".

## მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსრულებელი": | |
|---|---|
| დასახელება: | შპს "ზაისი და კომპანია" |
| მისამართი: | საქართველო, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №49 |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 412716805 |
| ტელეფონი: | მობ. +995 577470307, მობ. : +995 555 36 22 49; |
| ელ. ფოსტა: | zaisidakompania@mail.ru |
| საბანკო რეკვიზიტები: | საიდენტიფიკაციო კოდი 412716805, სს ბანკი „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: კოდი BAGAGE22, მიმღების/გამგზავნის დასახელება: შპს "ზაისი და კომპანია", ანგარიშის ნომერი: GE37BG0000000647605900; |

| „დამკვეთი": | |
|---|---|
| დასახელება: | სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლა |
| მისამართი: | საქართველო, ქ. ხონი პოლიკარპე კაკაბაძის ქ. №2 |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 244959808 |
| ტელეფონი: | 577 67 36 08 |
| ელ. ფოსტა: | shorenakakabadze1@gmail.com |
| საბანკო რეკვიზიტები: | საიდენტიფიკაციო კოდი 244959808 სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი: LBRTGE22, ანგარიშის ნომერი: GE50LB0121137372631000; |

მხარეთა ხელმოწერები:

| "შემსრულებელი" | "დამკვეთი" |
|---|---|
| _______________ | შ. კაკაბაძე |
| ზაირა ფრუიძე | შორენა კაკაბაძე |
| თანამდებობა: დირექტორი | თანამდებობა: დირექტორი |